შესავალი

მოცემული ანგარიში წარმოადგენს 2015 წლის მეორე კვარტალში საქართველოში განხორციელებული საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების მახასიათებლების მიმოხილვას, რომელიც მოწოდებულ იქნა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ.

გამოცემის მთავარ ინტერესს წარმოადგენს დასვენების და ბიზნესის მიზნებთან დაკავშირებული ვიზიტები, ასევე მოგზაურობის განმავლობაში გაწეული დანახარჯები.

საერთაშორისო ტურიზმის მნიშვნელობა

საერთაშორისო მოგზაურობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემებით, 2016 წელს ამ დარგის პირდაპირმა კონტრიბუციამ მსოფლიოს მთლიან მშპ-ში 2.2 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა (3%) და ხელი შეუწყო 108 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას. მისი პირდაპირი და გვერდითი ეფექტების მხედველობაში მიღების შემდეგ, აღნიშნული სექტორის წვლილი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში შემდეგია: მსოფლიოს მშპ-ს 9.8%, ერთი ადგილი ყოველი 11 სამუშაო ადგილიდან, 4.3% მთლიან განხორციელებულ ინვესტიციებსა და 6.1% მსოფლიოს მთლიან ექსპორტში.[1]

საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები

2015 წლის II კვარტალში საერთაშორისო მოგზაურების[2] ვიზიტების რაოდენობა 1,398,850 იყო, რაც წინა წელთან შედარებით 8.4%-ით მეტია (გრაფიკი 1).

გრაფიკი 1: საერთაშორისო მოგზაურების მიერ განხორციელებული ვიზიტები წლების მიხედვით



საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების ძირითადი მახასიათებლები

2015 წლის II კვარტალში საერთაშორისო ვიზიტორების[3] მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ 1,185,398 შეადგინა. მათი უმრავლესობა (საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების გათვალისწინების გარეშე) 87% მეზობელი ქვეყნების რეზიდენტები

[1] Economic Impact of Travel and Turism 2016, Annual Update, WTTC

[2] მოგზაური არის ნებისმიერი ასაკის პირი, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს შორის ნებისმიერი ხანგრძლივობითა და მიზნით. ის გამორიცხავს საქართველოს რეზიდენტ სხვა ქვეყნის მოქალაქეებს და მოიცავს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც უცხო ქვეყნის რეზიდენტები არიან.

[3] ვიზიტორი არის 15 წლის ან უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი მოგზაური, რომელმაც განახორციელა ვიზიტი საკუთარი ჩვეული გარემოდან საქართველოს ტერიტორიაზე ერთ წელზე ნაკლები დროით. საქართველოში ჩვეული გარემოს განსასაზღვრად შემდეგი მეთოდი გამოიყენება, ჩვეულ გარემოში ითვლება ის ვიზიტები, რომლებიც თვეში 8-ჯერ ან 8-ზე მეტჯერ ხორციელდება.

იყო. საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის მიხედვით ლიდერი ქვეყანაა თურქეთი 265,007 ვიზიტით, რაც 10.1%-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით. მას მოსდევს სომხეთი 260,312, აზერბაიჯანი 247,281 და რუსეთი 170,990 ვიზიტით (ცხრილი 1).

ცხრილი 1: ტოპ 5 ქვეყანა საერთაშორისო ვიზიტების მიხედვით

ქვეყანა	2014 II კვ	2015 II კვ	ცვლილება %
თურქეთი	294,862	265,007	-10.1%
სომხეთი	217,318	260,312	+24%
აზერბაიჯანი	226,996	247,281	+22.8%
რუსეთი	123,393	170,990	+15.7%
საქართველო (არარეზიდენტი)	112,399	99,017	10.5%

საერთაშორისო ვიზიტორების ყველაზე მეტი ვიზიტი 1,003,527 (ზრდა +6.2%) სახმელეთო გზით განახორციელეს. ყველაზე მეტი ვიზიტი სარფის 280,346 (-10.7%) სასაზღვრო პუნქტიდან განხორციელდა, მას მოსდევს წითელი ხიდი 209,856 (-0.3%) და ყაზბეგი 207,095 (+51.7%) ვიზიტით.

ცხრილი 2: საერთაშორისო ვიზიტები საზღვრის ტიპის მიხედვით

საზღვრის ტიპი	2014 II კვ	2015 II კვ	ცვლილ % 2014-2015
სახმელეთო	945,061	1,003,527	+6.2%
საჰაერო	152,781	166,356	+8.9%
საზღვაო	9,082	8,291	-8.7%
სარკინიგზო	7,167	7,224	+0.8%

საერთაშორისო ვიზიტების 58.8% (741,549) საქართველოში ღამისთევას მოიცავს, რაც ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციის თანახმად ტურისტულ ვიზიტს ნიშნავს, ხოლო 41.2% ერთდღიანი ვიზიტებია (518,258).

როგორია საერთაშორისო ვიზიტების ძირითადი მიზნები?

საერთაშორისო ვიზიტების უმრავლესობა (30%) დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით განხორციელდა. სხვა ხშირად დაფიქსირებულ მიზნებს შორის არის მეგობრების/ნათესავების მონახულება (23.2%), ტრანზიტი (21.1%), პროფესიული/ეკონომიკური საქმიანობა (10.8%), და შოპინგი (10.6%). ვიზიტების მხოლოდ 0.8%-ის შემთხვევაში დასახელდა ვიზიტის სხვა მიზანი (გრაფიკი 2).

გრაფიკი 2: ვიზიტის მთავარი მიზანი



რა არის საქართველოში პირველადი ვიზიტების წილი?

საერთაშორისო ვიზიტების 82.5% განმეორებით ვიზიტს წარმოადგენდა საქართველოში, ხოლო 17.5% კი პირველადს. შესაბამისად 2015 წლის II კვარტალში საქართველოში 207,115 პირველადი ვიზიტი განხორციელდა.

მეზობელი ქვეყნის რეზიდენტების უმრავლესობისთვის საქართველოში ვიზიტი პირველი არ იყო. განმეორებითი ვიზიტი ყველაზე ხშირ ხასიათს

სომხეთის რეზიდენტების ვიზიტებში ატარებს 97.7%, აზერბაიჯანი 95.1%, რუსეთი 84.3% და თურქეთი 72.6%. სხვა არამეზობელი ქვეყნის რეზიდენტების უმეტესობა საქართველოს პირველად ეწვია (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა - 58.3%; „სხვა ევროპა“ - 52.7%; „სხვა ქვეყნები“ – 73.9%) (გრაფიკი 3).

გრაფიკი 3: ვიზიტის პრაქტიკა



რა ხანგრძლივობით მოგზაურობენ საერთაშორისო ვიზიტორები?

ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა 2.8 ღამეს შეადგენს და ეს მაჩვენებელი განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტების მიხედვით. მეზობელი ქვეყნების რეზიდენტები საქართველოში შედარებით ხანმოკლე პერიოდით ჩერდებიან, რუსეთის რეზიდენტების გარდა, რომლებიც საქართველოში ხანგრძლივად, საშუალოდ 4.1 ღამით რჩებიან (ცხრილი 3).

ცხრილი 3: საშუალო გაჩერების ხანგრძლივობა

რეზიდენტობის ქვეყანა	საშუალო ღამისთევა
აზერბაიჯანი	2.4
თურქეთი	1.6
რუსეთი	4.1
სომხეთი	0.6
ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა	6.8
სხვა ევროპა	9.2
სხვა ქვეყნები	8.5

რომელ ქალაქებს და რეგიონებს სტუმრობენ უცხოელი ვიზიტორები?

საერთაშორისო ვიზიტების 47.3% საქართველოს დედაქალაქში განხორციელდა, მას მოჰყვება ბათუმი 32%-ით. დანარჩენ ქალაქებსა და ადგილებში შედარებით ნაკლები ვიზიტები დაფიქსირდა, მათ შორის: მარნეულში (13.1%), მცხეთაში (5.8%), ყაზბეგში (4.4%), რუსთავში (4.1%), ქუთაისში (3.5%), ლაგოდეხში (2.7%), ბოლნისსა (2.7%) და ბორჯომში (2.3%) (გრაფიკი 4).

გრაფიკი 4: ყველაზე ხშირად მონახულებული ტურისტული ადგილები



ვიზიტების უმეტესობა 47.3% რეგიონულ დონეზე თბილისში განხორციელდა, შემდეგ მოდის ზღვისპირა აჭარა 32.6%, ქვემო ქართლი 21.8% და მცხეთა-მთიანეთი 10.2%. დანარჩენი რეგიონებიდან ყველაზე მეტი ვიზიტი განხორციელდა სამცხე-ჯავახეთში 7.3%, კახეთსა 6.1% და იმერეთში 3.6%.

რომელი ინფორმაციის წყაროებით სარგებლობენ საერთაშორისო ვიზიტორები?

საქართველოში ჩამოსვლამდე ვიზიტორებმა სხვადასხვა ინფორმაციის წყარო გამოიყენეს. ვიზიტების 46.1%-ის შემთხვევაში მათ ინფორმაცია მეგობრებისგან/ახლობლებისგან მოიძიეს, ვიზიტების 18%-ისთვის საქართველოს შესახებ ინფორმაციის წყაროს ინტერნეტი წარმოადგენდა, ხოლო 8.5%-მა ამისათვის ქართული წარმომავლობის პიროვნება გამოიყენა. ვიზიტების უმეტესობისთვის (64.4%) ვიზიტორს უკვე მოეპოვებოდა ინფორმაცია წინა ვიზიტიდან. ვიზიტორების დიდი ნაწილი, რომლებიც პირველად იმყოფებოდნენ საქართველოში, ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად მეგობრებს და ნათესავებს დაეკითხა (62.1%), 39.6%-მა ინფორმაცია ინტერნეტით მოიძია, ხოლო 14.2%-ისთვის ინფორმაციის წყარო ტელევიზია/რადიო იყო (გრაფიკი 5).

გრაფიკი 5: ინფორმაციის წყარო



როგორია საერთაშორისო ვიზიტორების დემოგრაფიული პროფილი?

ვიზიტორების უმრავლესობა მამრობითი სქესის წარმომადგენელია (მამრობითი – 71.4%; მდედრობითი– 28.6%). 31 – 50 წლის ასაკობრივი კატეგორია საერთაშორისო ვიზიტორების ყველაზე დიდ ნაწილს შეადგენს (47.8%). (გრაფიკი 6).

გრაფიკი 6: ასაკობრივი ჯგუფები



ვისთან ერთად ხორციელდება საერთაშორისო ვიზიტები?

საერთაშორისო ვიზიტების 41.4% მარტო ხორციელდება, ხოლო დანარჩენები ვიზიტების დროს ვიზიტორებს ჰყავთ სულ მცირე ერთი კომპანიონი, რომელიც ხშირ შემთხვევაში ოჯახის წევრი ან ნათესავია (31.8%). ხოლო ვიზიტების 23.7%-ისთვის ვიზიტორის თანხმლები პირი მეგობარია (გრაფიკი 7).

გრაფიკი 7: ვიზიტისას თანმხლები პირი



გრაფიკი 8: განთავსების საშუალებები



მამაკაცები უფრო ხშირად მგზავრობენ მარტო (43.9%), ვიდრე მდედრობითი სქესის წარმომადგენლები (35.5%). ვიზიტების 43.6% ქალების მიერ ოჯახის წევრებთან ან ნათესავებთან ერთად ხორციელდება, ანალოგიური მაჩვენებელი მამაკაცების შემთხვევაში 27.1%-ია.

რომელი განთავსების საშუალებებში ათევენ ღამეს საერთაშორისო ვიზიტორები?

2015 წლის II კვარტალში საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო ვიზიტორების ჯამური ღამისთევების რაოდენობა 3,265,365-ს შეადგენს.

მათ შორის, ყველაზე მეტი ღამისთევა (36.2%) მეგობრებისა და ნათესავების სახლში განხორციელდა, 30.6% სასტუმროში გაჩერდა. სხვა ტიპის განთავსების საშუალებები ვიზიტორებს შორის ნაკლებად პოპულარულია (ღამისთევების 12.3% ნაქირავებ ბინაში, ხოლო 11.5% კი საოჯახო სასტუმროში განხორციელდა) (გრაფიკი 8).

საშუალო ღამისთევების რაოდენობა ყველაზე დიდი იყო საკუთარ სახლში (10.3 ღამე), შემდეგ მოდის ნაქირავები ბინა (9.6 ღამე), კემპინგი (4.1 ღამე), მეგობრის/ნათესავის სახლი (3.9 ღამე), სასტუმრო სახლი (3.4 ღამე), სასტუმრო (2.7 ღამე) და საავადმყოფო (1.5 ღამე).

რამდენს შეადგენს საერთაშორისო ვიზიტორების განხორციელებული დანახარჯები?

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული დანახარჯების ჯამურმა მაჩვენებელმა 870 მილიონ ლარს მიაღწია, ხოლო ერთი ვიზიტისას გაწეულმა საშუალო დანახარჯმა 734.1 ლარი.

დანახარჯების ყველაზე დიდი წილი საკვებსა და სასმელზე (მთლიანი ხარჯები 22%) და განთავსების საშუალებებზე (18.4%) დაფიქსირდა. ასევე მნიშვნელოვანი წილით იყო წარმოდგენილი რეკრეაციულ და კულტურულ აქტივობებზე დანა-

ხარჯები (15.5%), ხოლო შოპინგზე ვიზიტორებმა მთლიანი დანახარჯების მხოლოდ 12.7% გასწიეს. დანახარჯების დეტალური ჩაშლა ქვემოთ არის მოცემული (ცხრილი 4).

ცხრილი 4:დანახარჯების სტრუქტურა

დანახარჯების კომპონენტები	მთლიანი დანახარჯი (ათასი ლარი)	წილი %
საკვები და სასმელი	191,179.7	22%
განთავსების საშუალებები	160,078	18.4%
რეკრეაცია, კულტურული და სპორტული აქტივობები	135,252	15.5%
შოპინგი	110,794.6	12.7%
ადგილობრივი ტრანსპორტი	53,146.3	6.1%
სხვა დანახარჯები	219,779.9	25.3%

მეზობელი ქვეყნებიდან თურქეთის რეზიდენტები ვიზიტზე ყველაზე მაღალი საშუალო დანახარჯით (966.7 ლარი) გამოირჩევიან, მას მოსდევს რუსეთი 756.8 ლარი, სომხეთი - 629 ლარი და აზერბაიჯანი -352.4 ლარი.

ცხრილი 5: საშუალო დანახარჯები ქვეყნების მიხედვით

რეზიდენტობის ქვეყანა	საშუალო დანახარჯი (ლარი)
აზერბაიჯანი	352.4
თურქეთი	966.7
რუსეთი	756.8
სომხეთი	629
ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა	1,052
სხვა ევროპა	1,716.6
სხვა ქვეყნები	2,022.2

რამდენი ვიზიტი ხორციელდება ტურისტული პაკეტის საშუალებით?

საერთაშორისო ვიზიტების 97.7%-ის შემთხვევაში ვიზიტორებს არ უსარგებლიათ ტურისტული პაკეტით. შეძენილი ტურისტული პაკეტით განხორციელებულ ვიზიტებში უცხოური და ქართული ტუროპერატოროების გადანაწილება შესაბამისად 2% და 0.3% იყო. ჯამში 2015 წლის II კვარტალში ტურისტული პაკეტის შესაძენად საერთაშორისო ვიზიტორებმა 30.4 მლნ. ლარი გადაიხადეს. (გრაფიკი 9)

გრაფიკი 9: ტურისტული პაკეტის გამოყენება



რომელია ტურიზმის პოპულარული აქტივობები?

ვიზიტისას ყველაზე ხშირად განხორციელებულ აქტივობებში ფიქსირდება შოპინგი (59.2%) და ადგილობრივი სამზარეულოს და ღვინის დაგემოვნება (52%). მას მოსდევს ღირსშესანიშნაობების, კულტურული და ისტორიული ძეგლების მონახულება (32.9%) (გრაფიკი 10).

გრაფიკი 10: პოპულარული აქტივობები



გრაფიკი 11: საერთაშორისო ვიზიტების განაწილება ვიზიტორის ეკონომიკური აქტივობის მიხედვით



რამდენად კმაყოფილები არიან საერთაშორისო ვიზიტორები?

საერთაშორისო ვიზიტების 52.2%-ის შემთხვევაში ვიზიტორი ძალიან კმაყოფილი იყო განხორციელებული ვიზიტით, 34.4%-კმაყოფილი, ხოლო 0.4%-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან. ზოგადი კმაყოფილების დონე 4.8-ს შეადგენდა (5-დან).

ვის მიერ ხორციელდება საერთაშორისო ვიზიტები ეკონომიკური აქტივობის მიხედვით?

საერთაშორისო ვიზიტების უმრავლესობა დაქირავებული მომუშავეების მიერ განხორციელდა (46.2%). შემდეგ მოდის დამსაქმებლის (13.4%) და უმუშევარის (10.8%) კატეგორია (გრაფიკი 11).

მეთოდოლოგია

სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების მიზნით სტატისტიკის ეროვნული სამსახური ატარებს საერთაშორისო ვიზიტორების გამოკითხვას. მონაცემების შეგროვება ხორციელდება პირისპირი ინტერვიუების ტექნიკის გამოყენებით. მეთოდოლოგია დაფუძნებულია მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებზე.

ინტერვიუები ტარდება 15 წლის და უფროსი ასაკის საერთაშორისო ვიზიტორებთან, რომლებიც ტოვებენ საქართველოს ტერიტორიას. ინტერვიუები ტარდება თითოეული ტიპის სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში (აეროპორტი, პორტი, რკინიგზა, სახმელეთო საზღვარი).

შერჩევის ზომა საზღვრების მიხედვით

საზღვრის ტიპი	საზღვრის დასახელება	შერჩევის ზომა
აეროპორტი	თბილისის აეროპორტი	1572
აეროპორტი	ბათუმის აეროპორტი	240
აეროპორტი	ქუთაისის აეროპორტი	300
სახმელეთო საზღვარი	სარფი	4392
სახმელეთო საზღვარი	ვალე	252
სახმელეთო საზღვარი	ნინოწმინდა	432
სახმელეთო საზღვარი	სადახლო	1488
სახმელეთო საზღვარი	წითელი ხიდი	1752
სახმელეთო საზღვარი	ცოდნა	504
სახმელეთო საზღვარი	ყაზბეგი	1068

კვლევა პროცესში გამოიკითხა 12,000-მდე რესპონდენტი. მონაცემების შეწონვა და შესაბამის პერიოდებზე განზოგადება განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ საზღვრის კვეთის მონაცემებზე დაყრდნობით. მეთოდოლოგიის მოკლე აღწერა მოცემულია ქვემოთ:

კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა

კვლევის მეთოდოლოგია	რაოდენობრივი კვლევა
კვლევის ტექნიკა	პირისპირი ინტერვიუ
კვლევის არეალი	საქართველო
სამიზნე ჯგუფი	15 წლის და უფროსი ასაკის საერთაშორისო ვიზიტორები
შერჩევის ზომა	12,000 რესპონდენტი
ინტერვიუს ხანგრძლივობა	10-12 წუთი

ანგარიში მომზადდა საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველოს მიერ.

ტელ: +995 322 43 69 99 (18 20)

ელ. ფოსტა: infostatistics@gnta.ge